აისბერგის მოდელი სისტემური აზროვნებისათვის

სისტემური აზროვნება ეფუძნება სისტემების თეორიას და გულისხმობს უნარს ცალკეული პრობლემა ე.წ. „მთელი სურათის“ ნაწილად დავინახოთ. ეს არის ჰოლისტური ანალიზის მიდგომა, რომელიც, სისტემას, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას აღიქვამს, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ერთმანეთს განაპირობებენ.

სისტემურად მოაზროვნე ადამიანი, იმის მაგივრად, რომ რეაგირება მოახდინოს რომელიმე წარმოქმნილ ერთ ცალკეულ პრობლემაზე, ცდილობს პრობლემა უფრო კომპლექსურად გადაჭრას, კონკრეტული გამოწვევა სხვა დაკავშირებული საკითხების კონტექსტში დაინახოს, შეხედოს პრობლემების განმეორებითობას და ინტენსიობას და ეძებოს მისი გამომწვევი ძირეული მიზეზები.

ერთ-ერთი სისტემური აზროვნების ინსტრუმენტი, რომელიც კომპლექსური პრობლემების ანალიზისთვის გამოიყენება არის აისბერგის მოდელი. როგორც ვიცით, აისბერგის მთლიანი მასის მხოლოდ 10% ჩანს წყლის ზედაპირზე, დანარჩენი 90% კი წყალქვეშაა, მაგრამ სწორედ ეს 90% ზემოქმედებს წყალქვეშა დინებებზე და ზეგავლენას ახდენს წყლის ზედაპირზე არსებულ 10%-ზე.

აზროვნების დონეები აისბერგის ინსტრუმენტის მიხედვით:

01

მოვლენების დონე / The Event Level

ამ დონეზე ხდება სამყაროს აღქმა და ფაქტების, მოვლენების დანახვა, შეგრძნება. ამ დროს ვსვამთ კითხვას: „რა ხდება, რა მოხდა?“

მაგალითად, დილას გაღვიძებისას აღმოვაჩენთ, რომ გაციებული ვართ. ეს კონკრეტული ფაქტი, მოვლენაა. გაციების სიმპტომებს ტიპური მკურნალობით ვპასუხობთ. თუმცა აისებერგის მოდელი გვეუბნება, რომ რიგ კომპლექსურ თუ განმეორებად მოვლენებზე სწორი რეაგირებისთვის საჭიროა მათ ფესვებში ჩაzძიება და უფრო ფართო სურათის დანახვა.

02

პატერნების / ტენდენციების დონე / The Pattern Level

მოვლენების შემდეგ მოდის პატერნების იგივე ტენდენციების დონე. რიგი მოვლენები დროთა მანძილზე მეორდება, იზრდება თუ მცირდება და შეიმჩნევა რომ გარკვეულ სხვა მოვლენებს უკავშირდება. ამ დონეზე ვსვამთ კითხვას: „რა ხდება დროთა მანძილზე?“ მაგალითად, ვამჩნევთ, რომ თუ საკმარისად არ ვისვენებთ, მაშინ უფრო ადვილად ვცივდებით. ასეთ მოვლენებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ეს მოვლენები წინასწარ განვჭვრიტოთ და თავიდან ავიცილოთ.

03 სტრუქტურული დონე / The Structure Level

პატერნების დონის ქვევით არის სტრუქტურის დონე. როდესაც ვკითხულობთ თუ რა იწვევს პატერნებს, როგორც წესი გვპასუხობენ, რომ პატერნებს განაპირობებს გარკვეული სახის ესა თუ ის სტრუქტურები. იგივე ჩვენს მაგალითზე, რომ ვიმსჯელოთ გადაღლა, რომელიც ხშირ გაციებას იწვევს, უკავშირდება გაზრდილ სტრესს სამუშაო ადგილზე, რაც გამოწვეულია დაწინაურების პოლიტიკის ახალი წესით.

სტრუქტურებში შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც გარკვეული სუბიექტების ქცევა, ასევე პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო, ორგანიზაციული რეგულაციები, კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევები, ნორმები, რიტუალები, არსებული ინფრსატრუქტურა თუ ფიზიკური გარემო, ეკოლოგია და სხვა.

04 მენტალური მოდელების დონე / The Mental Model Level

მენტალური მოდელებია: ატიტუდები, რწმენები, მორალი, მოლოდინები და ფასეულობები, რომლებიც სტრუქტურებს ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ. ეს ის რწმენები და შეხედულებებია, რომლებსაც არაცნობიერად ვსწავლობთ ჩვენი საზოგადოების ან ოჯახისგან. მენტალური მოდელები, რომლებიც შეიძლება ჩართული იყოს ჩვენი გაციების პროცესში: კარიერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჯანსაღი კვება ძვირია და ა.შ.